

„გოლდმედი“
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/კ 202455128

**2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება**

სარჩევი:	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საქმიანობის შედეგები	3
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:	4-8

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებულ იქნა ხელმძღვანელობის მიერ.

სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/

მაია ყორბესაშვილი /მთ. ბუღალტერი/

თარიღი 29 სექტემბერი 2020

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის			
	2019წ.31 დეკემბრის მდგომარეობით	2019წ.1 ნვრის მდგომარეობით	2018 წლის 1 ნვრის მდგომარეობით
საინვესტიციო ქონება			
გადავადებული საგადასახადო აქტივი			
ძირითადი საშუალებები	309489	147456	162415
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა	150000	150000	150000
დაუმთავრებელი მშენებლობა		99537	
სულ გრძელვადიანი აქტივები	459489	396993	312415
გადახდილი ავანსები	328665	145157	214944
ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები			
მარაგები	920703	975166	893716
დებიტორული დავალიანება	857917	964369	788726
სხვა მიმდინარე აქტივები	27604		625
ფულადი სახსრები	485862	387065	449288
სულ მიმდინარე აქტივები	2620751	2471757	2347299
სულ მთლიანი აქტივები	3080240	2868750	2659714
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	2703497	2117952	1732199
საწესდებო კაპიტალი			
გადაფასების რეზერვი			1841
კაპიტალის კორექტირება	-3887	-2720	714
დივიდენდი	-520220	-600000	
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	2117952	1732199	975508
მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი	1109652	988473	754136
სულ კაპიტალი	2703497	2117952	1732199
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული მოგების გადასახადი			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		9715	64850
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9715	64850
მიღებული ავანსები			4757
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3700	10435	9957
სავაჭრო და სხვა კრედიტ. დავალიანება	353777	555528	670165
საბიუჯეტო გადასახდელები	9551	21612	9493
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	9715	153508	168293
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	376743	741083	862665
სულ ვალდებულებები	376743	750798	927515
სულ კაპიტალი და ვალდებულება	3080240	2868750	2659714

სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/
 მაია ყორბესაშვილი /მთ. ბუღალტერი/

/-----/
 /-----/

შპს გოლდმედი
2019 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის საქმიანობის შედეგები

	31/12/2019	31/12/2018
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	4639756	3743104
ამონაგები მომსახურების გაწევიდან		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-3040191	-2383248
საერთო მოგება	1599565	1359856
სხვა შემოსავალი	889	7318
დასაქმებულთა ანაზღაურება	-304184	-193250
კომონალური ხარჯი	-5242	-5802
ცვეთა და ამორტიზაცია	-9224	-7790
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-89177	-40527
ვვადაგასული მარაგის ხარჯები	-19866	-38740
იჯარა	-9306	-12115
დაზღვევა	-7790	-
საწვავის ხარჯი	-17901	-17479
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2201	1115
საპროცენტო ხარჯი	-15733	-35448
სულ საოპერაციო ხარჯები	- 475333	-342718
სულ საოპერაციო მოგება	1124232	1017138
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-13775	-15998
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-805	-12667
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1109652	988473
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	1109652	988473
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1109652	988473
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2117952	1732199
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-520220	-600000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-3887	-2720
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2703497	2117952

სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/
--შპს „გოლდმედი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1

ზოგადი ინფორმაცია

შპს „გოლდმედი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2008 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო სახარჯი მასალის საბითუმო და საცალო რეალიზაცია კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, 0131, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კათოლიკოსი აბრაჰამ I ქუჩა #26

შენიშვნა 2

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის მიერ, მეორედ მოხდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება,

ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

კომპანიას გასულ პერიოდებში არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები. აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა

შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით.

აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და 'საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება,

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა 1,7%

ტექნიკა და

ელ.მოწყობილობები 10%

სატრანსპორტო

საშვალეები 20%

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა 10%

არამატერიალური აქტივი 10%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად

შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი მეთოდით“ (MIDL) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს,

არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის)

საბალანსო ღირებულება.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზარდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის

გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31/12/2019	01/01/2019	01/01/2018
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	206673	80913	214344
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	279189	306152	234944
სულ	485862	387065	449288

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2019	01/01/2019	01/01/2018
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	857917	964369	788726
გადახდილი ავანსები	328665	145157	214944
სულ	1186582	1109526	1003670

შენიშვნა 5

მარაგები

	31/12/2019	01/01/2019	01/01/2018
მარაგები	920703	975166	893716
სულ	920703	975166	893716

მიმდინარე პერიოდის რეალიზაციისათვის განკუთვნილი საქონლის მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 3040191 ლარი . ამავე პერიოდში ჩამოწერილი და განადგურებულ იქნა 19673 ლარის ვადაგასული პროდუქცია,განადგურებულ მარაგებს საქმიანობის შედეგებში დემატა მომსახ.193 ლარი. უკან დაბრუნებულმა საქონელმა შეადგინა 4415,27 ლარი. იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში. მარაგების ნაწილს შეადგენს საწვავის ღირებულება, 2019წ. მანხილზე შეძენილი იქნა18125 ლარის ოდენობის საწვავი,სანგარიშო პერიოდში ჩამოწერილი იქნა და ხარჯად აღიარებული 17901 ლარის ოდენობით,მარაგის ნაწილში დარჩა 234ლარის ოდენობის საწვავი.შენობის რეკონსტრუქციისათვის დაიხარჯა 13612 ლარის მარაგები..

ძირითადი საშუალებები
ღირებულება ან გადაფასებული თანხა

	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალება	შენობა	დაუმთავრებელი მშენებლობა
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5554	37612	141302	
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	1919			
გადაფასების კორექტირება		-25071		
გაყიდვები/ჩამოწერა				
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	7473	12541	141302	100562
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	4416	21785	146080	
გაყიდვები/ჩამოწერა				
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11889	34326	287382	0

ცვეთა და გაუფასურება

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1032	16217	4804	
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	771	3590	2402	
გაყიდვის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა		-14956		
გადაფასების კორექტირება				
გაუფასურება				
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1803	4851	7206	1025
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	1254	3371	5623	
გაყიდვა/ ცვეთის ჩამოწერა				
მიმდინარე წლის დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთის ხარჯი				
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3057	8222	12829	
საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4522	21395	136498	
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5670	7690	134096	99537
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8832	26104	274553	
სოფიო ბერეკაშვილი /დირექტორი/ მაია ყორბესაშვილი /მთ. ბუღალტერი/				

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2019	2018	2017
სავაჭრო და სხვა კრედიტ. დავალიანება	353777	555528	670165
საბიუჯეტო გადასახდელები მიმდინარე	9551	21612	9493
სასესხო ვალდებულება	9715	153508	168293
მიღებული ავანსი	0	0	4757
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	3700	10435	9957
სუკ მოკლევადიანი ვალდებულებები	376743	741083	862665
გრძელვადიანი სასესხო დავალიანება	0	9715	64850
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	9715	64850
სულ ვალდებულებები	376743	750798	927515

სოფიო ზერეკაშვილი /დირექტორი/

მაია ყორბესაშვილი /მთ. ბუღალტერი/